ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 ხუთშაბათი, 26 ივლისი № 1535

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27, და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დილით:

ბ. ი. **შიშინაშვ**—კბილის სნეულებანი 8—10 სათამდე.

მ. ა. **გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

ბ. ბ. **მაღალაშვილი**—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ნ. ა. **მუდიბი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე.

ი. ზ. **ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ა. ნ. **შატილოვი**—თვალისა 10—11 საათამდე.

დ. ა. **გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

მ. ბ. **ფედოროვი**—შინაგანი და საბავშვო 1—2 საათამდე.

ბ. დ. **მარკევიჩი**—სადოსტაქრო $12^1/_2$—$1^1/_2$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდ.

ი. დ. **ზუკოვსკოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი $1^1/_2$—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. **თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. ა **ბელოგოლოვი**—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათამდე.

ბ. **მაღალაშვილი**—კვირაობით, 10—12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274. (წლ.)

ქუთაისში, ვ. ბეჟანეიშვილის მაღაზიაში, იყიდება გაზეთ „ცნობის ფურცელი“-ს ნომრები.

ფასი თითო ნომრისა 3 კაპეიკი.

სოფელი და ქალაქი

I

ფრიად საყურადღებოა კითხვა, თუ რა მოელის მომავალში სოფელს? ბევრსა ჰგონია, რომ სოფელი გადაგვარების გზაზეა დამდგარი და ეს გადაგვარება აუცილებელი საჭიროებაა ეკონომიურ ცხოვრების განვითარებისა. სოფლის გადაგვარება დაფუძნებულია შემდეგს მოსაზრებაზე.

მყარდება რა ამა თუ იმ ქვეყანაში კაპიტალისტური წეს-წყობილება, თავს იჩენს ფრიად შესამჩნევი მოვლენა: ბრძოლა იწყება წვრილ-ფეხა და დიდ მრეწველთა შორის, პატარა და დიდ კაპიტალთა შორის. ეს ბრძოლა ჩნდება როგორც ქალაქებში, ისე სოფლებშიაც. არსებითად ქალაქებში და სოფლებში ერთი და იგივე მოვლენა იჩენს თავს, მხოლოდ ერთი მოვლენა გარეგნობით განირჩევა მეორე მოვლენისაგან. ქალაქებში ჩვენ ვხედავთ სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალთა შეჯახებას და ჭიშპობას, ხოლო სოფლებში სამეურნეო მიწად-მფლობელების კაპიტალთა შორისო. ქალაქში დიდი კაპიტალი ჰყლაპავს პატარას, სოფელში დიდი მემამულე წვრილ ფეხა მემამულესაო. ამ რიგად, ყველგან, ქალაქში და სოფელში, ხდება ეგრედ წოდებული, კონცენტრაცია კაპიტალისაო. ეს კონცენტრაცია, ესე იგი დიდი კაპიტალის პატარაზე გაბატონება და ამ პატარა კაპიტალის თან-და-თანი გაუქმება თანამედროვე ეკონომიური ცხოვრების განვითარების აუცილებელი პროცესიაო. ამ პროცესმა იქამდე უნდა მიგვიყვანოს, რომ ეკონომიურ ასპარეზზე დარჩება სულ მცირე რიცხვი მსხვილ-მსხვილ კაპიტალისტებისა, რომელნიც ერთი-ერთმანეთს შეეჯიბრებიან, შეებრძოლებიან, ამ ბრძოლაში ერთმანეთს გაანადგურებენ და ამ სახით უნებლიედ გააქარწყლებენ შრომის და კაპიტალის წინააღმდეგობასაო. ამ წინააღმდეგობის მოსპობას, რასაკვირველია, სხვა გარემოებაც შეუწყობს ხელს,—შრომის წარმომადგენელთა ორგანიზაცია და თვით-ცნობიერების მათში გაღვიძება, მხოლოდ ეს უკანასკნელი გარემოება იმდენად მეტად იზრდება, რამდენადაც მეტს იჩენს თავს აღნიშნული შრომის და კაპიტალის წინააღმდეგობა, ე. ი. რამდენადაც მეტად და ძლიერად ხდება კაპიტალის კონცენტრაციაო (შეგროვება მცირე რიცხვის ხელში).

რომ, შრომის და კაპიტალის წინააღმდეგობა უნდა მოისპოს, ამაში ეჭვი არ არის, მხოლოდ ძალიან საეჭვოა, რომ ამ მოვლენას ბოლო მოეღება კაპიტალის ვითამდა კონცენტრაციის ძალით.

შემდეგ წერილში ჩვენ დავანახვებთ მკითხველს, რომ ხსენებული „კონცეტრაცია“ (კაპიტალის მცირე რიცხვთა ხელში შეგროვება) უფრო იდეოლოგთა ფანტაზიის ნაყოფია, ვიდრე ცხოვრების სინამდვილეა. ციფირები დაგვარწმუნებენ, რომ იმისთანა კაპიტალისტურ ქვეყანაში, როგორიცაა ინგლისი, ამ ოცი, ოცდა ათი წლის განმავლობაში პატარა მრეწველობას საპატიო ადგილი დაუჭერია ეკონომიურ ასპარეზე და ამ მრეწველობას არამც თუ გადაგვარების საფრთხე არ მოელის, პირ-იქით, მან მკვიდრი ფესვები გაიკეთა და ქიშპობასაც უწევს დიდ მრეწველობას.

ამ წერილში კი მივაქციოთ ყურადღება სხვა მოსაზრებას. წარმოიდგინეთ, ჩვენ დავგვაჯერეს, რომ პატარა მრეწველობას და წვრილ ფეხა მემამულეს არ აქვს მომავალი, რომ იგი დღეს თუ ხვალ გადაგვარდება; რა პრაქტიკული შედეგი უნდა მოჰყვეს ამას, როგორ უნდა მოვიქცეთ ამ ულმობელ ცხოვრების წინაშე? რასაკვირველია, ქედი უნდა მოვიხაროთ და, დავრწმუნდებით რა ამის აუცილებლობას, ხელიც უნდა შევუწყოთ ამ პროცესის აჩქარებას. ამ შემთხვევაში, ჩვენი მოქმედება ქალაქებში იმაში გამოიხატება, რომ ჩვენ ხელსაც არ გავანძრევთ პატარა მრეწველთა დღეგრძელობისათვის, პირიქით, ფესვიანად აღმოვფხვრით მათ, რათა რაც შეიძლება მალე გაეცალონ ცხოვრებას და ადგილი დაუთმონ ყოვლად შემძლებელ მსხვილ-მსხვილ კაპიტალისტებს. სოფელში ჩვენ ვეცდებით, ამავე აზრის განხორციელებას. ჩვენ არამც თუ არ მოვინდომებთ მიწად-მომქმედნი მიწაზე დავამკვიდროთ (ნადელების შესყიდვის პროცესის გაადვილებით, მეურნეობის გაუმჯობესებით და სხვა), არამც თუ არ გავუწოდებთ ხელს წვრილ-ფეხა მემამულეებს (იაფ-ფასიან კრედიტის, სინდიკატების და სხვ. ამნაირი დაწესებულების დაარსებით), პირ-იქით, ყოველ ღონისძიებას ვიხმართ, გავაღატაკოთ, მოვაშოროთ მიწას და სამუშაოს საძებნელად მსხვილ მემამულეს კარზე მივაყენოთ. ასე უნდა მოვიქცეთ, თუ დავრწმუნდით, რომ პატარა მესაკუთრის დაღუპვაზეა აშენებული ქვეყნის ხსნა. ამგვარი ჩვენი მოქმედება ლოღიკური შედეგი იქნება ზემოდ აღნიშნული მოსაზრებისა.

ყველა ამისათვის, სანამ ჩვენ ასე თუ ისე მოვიქცეოდეთ, დაბეჯითებით უნდა შევიგნოთ ნამდილი ხასიათი ეკონომიურ ცხოვრებისა. წინ და წინ აკვიატებული აზრი უნდა ამოვშალოთ ჩვენის გონებიდან, თორემ შეიძლება ჩვენს მოქმედებას იმისთანა მიმართულება მივცეთ, რომელიც ქვეყანას დიდ ვნებას მოუტანს.

ხუმრობა არ არის მილიონ ნახევარ ხალხის გაღატაკება, მიწიდან მოშორება და მისი სვე-ბედი პრობლემატიურ კაპიტალის კონცეტრატიაზე დამყარება. ხუმრობა არ არის ჩვენი სოფლების დაცარიელება და პატარა მემამულის და მიწად-მოქმედის მუშათა ძალად გარდაქმნა. და ჩვენ ხომ სწორედ ამ საქმეს უნდა შევუწყოთ ხელი, თუ დავრწმუნდებით, რომ ეკონომიურ ცხოვრების „კანონი“ მოითხოვს ამას: „კანონის“ ურჩობა ხომ უსაფუძვლო დაქსაქსვაა ღონისა. ასე რომ თავდა-პირველად გამოვიკვ-

---

ფელეტონი

სამწუხარო მდგომარეობა

(წერილი ქიზიყიდან)

მიიწურა ზაფხული და გამოირკვა წლევანდელი წლის მოსავალი. მთელი სოფლები და კალოები რომ შემოიაროთ, ფრთამოქცეულებს (ძნები ერთად დადგმული, რამდენიმე ათეული და ურემი—ფრთა მოქცეულია—ზოგში 40 ურემია ხოლმე) ვერსად შეხვდებით. თუ ვისმეს რამდენიმე ათეული ძნა მოსვლია, სადღაც ჩარდახში შეუკუჭნია და ელის გაავდრებას, რომ მორწყულ კალოზე გალეწოს და ორიოდე ლიტრა პური თუ მოუვა, სუფთად აილოს ათესლედ. ამინდმაც უჯიბრა და, აი ეს ორი თვეა, ცას ნამი არ გავარდნია და დედამიწა არ მოუნამია. ამ გახურებულ ლეწვის დროს კანტი-კუნტათ შეგხვდებათ ლეწვა, თითქოს მიწურული შემოდგომა იდგეს ეხლა და არა ლეწვის დრო, მკათათვე. ვისაც დაკვირვების ნიშან-წყალი ემჩნევა, ან გონებას ავარჯიშებს და სულ მუდამ არა სძინავს, ის იანვარშივე შენიშნავდა მოუსავლობას. შარშან ენკენისთვიდან ქრისტეშობისთვემდის წვიმა არ მოსულა და მშრალი ამინდი იდგა. ხალხმა ხმელი, გაწიოკრაკებული მიწა მოხნა და სიმშრალეშივე დაფარცხა და გადაყარა თესლი. ზეზე დარჩომილი თესლი ჯერ ფრინველმა აკრიფა და მერე ბოლომდე გაჩენილმა თაგვმა შეიტანა სოროში თავის საკვებად. ზამთარში ცოტა ხანს თოვლი დასდო და ამან ხელი შეუწყო გადარჩენილ თესლს ამოსულიყო და ჯეჯილად ქცეულიყო. პირველ გაზაფხულზე ისევ გაჩნდა აუარებელი თაგვი და ყანები გააჩანაგა. რაკი შემოდგომის მოსავლის იმედი გადაუწყდათ, ხალხმა გულუხვად ხნა გაზაფხულის ნახნავი და ბოლომდე დააბნია ფეტვი და სიმინდი—ეგონა ამითი დაჰფარავდა შემოდგომის ზარალს. გაზაფხულის დამლევში მოსულმა წვიმებმა შემოდგომის ნათესობა ცოტათი გამოაკეთა და გაზაფხულის ნათესი ფეტვი და სიმინდი ხომ სულ აალაღანა და ხალხს იმედი მისცა კარგის მოსავლისა. მაისის გასვლიდან ისევ მშრალობა დაიჭირა, დადგა თიბათვისა და მერე მკათათვის ცხელი პაპანაქი ამინდი და მთლად მოშუშა და გააფუჭა როგორც შემოდგომის აღაღანებული ყანები, აგრეთვე გაზაფხულის ნათესობა—ფეტვი და სიმინდი. ნათესობისაგან გულ-გატეხილს გლეხს ვენახის მოსავლის იმედი-ღა ჰქონდა, მაგრამ ზაფხულის უწვიმობამ ვენახებიც შეაწუხა და რაც წელს სეტყვამ გადაურჩა, ის კიდევ ხანგრძლივმა გვალვამ გააფუჭა და თუ მკათათვის გასვლამდის მაინც წვიმა არ მოვიდა, მაშინ ხომ სულ იმედი უნდა გადაუწყდეს ღვინის მოსავალზედაც. ბევრჯერ გაწყრომილა ბუნება და ბევრი მოუსავლობა ახსოვს ამ ცოტა ხანში ქიზიყს, მაგრამ ამ წლევანდელისთანა მოუსავლობა ქიზიყს არ ახსოვს დიდი ხანია. უწინ, მოუსავლიან წლებში, ზოგიერთ სოფლებში მაინც მოვიდოდა ხოლმე მოსავალი და დაზარალებულ სოფლებშიაც ბევრს გადაურჩებოდა ხოლმე მოსავალი და რამდენიმე ურემი სულადი მოუვიდოდა. წელს-კი საერთო მოუსავლიანობაა ქიზიყში და ვისაც 15—20 ურემი სულადი უნდა მოეგროვებინა, ორ ურემსაც ვერ მოაგროვებს და ვისაც ნაკლების იმედი ჰქონდა, ისინი ხომ ლიტრებითა სთვლიან მოსავალს. ეხლავე ტფილისიდან მოტანილ ფქვილს ჰყიდიან სოფლებში და ფუთი 1 მ. 30 კ.-დან, 1 მ. 40 კ.-მდე იყიდება. ზოგიერთ სოფლებში პურის საცხობი ფურნებიც გაუმართნიათ და გამომცხვარ პურსა ჰყიდიან. ამბობენ, განჯის გუბერნიაში, ადგილობრივ, იაფია ხორბლეულობაო, მაგრამ იქით კიდევ ყაჩაღების შიშით ხალხს ვერ გაუბედნია. ამას წინადაც რამდენიმე მეურმე გაძარცვეს და საქონელი წაასხათ, უკან ცარიელები მობრუნდენენ და ხორბლის მოტანის მაგიერ, საქონელიც იქ დასტოვეს. ყველაზე უფრო დაზარალებულია მოუსავლიანობით თავისუფალი ქიზიყი—წინა მხარე და უკანა მხრის კოდალოს საბოქაულო, სადაც მკვიდრნი მარტო მიწის ხვნას და საქონლის მოშენებას მისდევენ და ძალიან მცირე—მევენახეობას. წელს რომ პირველი მოუსავლობა იყოს, კიდევ არაფერი, ძველი პური კიდევ ექნებოდათ, მაგრამ ეს 7—8 წელიწადია სისტემატიურად მოუსავლობა იდგა ქიზიყში, რაც შენახული ხორბალი იყო, სულ წინა წლებში მოიხმარეს და სხვა რაც მოემხრობოდათ და მოეხმარებოდათ, ისიც ადრევე მოიშორეს და მოიხმარეს. თუ შერჩათ ისევ საქონელი და ეხლა იძულებულნი არიან საქონელი მოიშორონ, მაგრამ ეხლა საქონელსაც აღარა აქვს ფასი, რადგან სულადის მოუსავლობას საქონლის საკვების მოუსავლიანობაც ზედ დაერთო და გაზაფხულის უწვიმობამ ბალახიც აზარალა. თუ სადმე მიწას ამოსცილდა ბალახი და გათიბეს, ის კიდევ თიბვის დროს მოსულმა წვიმებმა გაშავეს და გააფუჭეს. აი, ამ საქონლის მოუსავლიანობამ უფრო გააორკეცა ზარალი და ხალხი სასოწარკვეთილებამდის მიიყვანა. თითქოს განგებ, სახელმწიფო გარდასახადიც

ლიოთ, მართლა აქვს ნიადაგი ამ „კანონს“ ცხოვრებაში, თუ იგი «მწიგნობართა» ფანტაზიის ნაყოფია.

არჩილ ჯორჯაძე.

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

24 ივლისი.

პეტერბურგი. 24 ივლისს პეტერბურგში დაბრუნდა შინაგან საქმეთა მინისტრი.

«კანონთა კრებულში» გამოცხადებულია სახელმწიფო საგლეხო ბანკის 50 მილიონ მანეთის სახელმწიფო მოწმობათა გამოცემის შესახებ.

24 ივლისს დიდი ცეცხლი გაჩნდა ხოილოვიჩის თუნუქის ნაწარმოებთა ქარხანაში; ქარხანა დაზღვეულია „სალამანდრას“ საზოგადოებაში 500 ათას მანეთში; ზარალი 100 ათას მანეთს აღემატება; ქარხანაში მუშაობა შეჩერებულ იქმნა.

სარატოვი. ღამე ცეცხლი გაჩნდა ხეტყის მასალის საწყობში მდ. ვოლგას ნაპირზე; იწვიან საწყობები და შემა ივანოვისა, ბელოუსოვისა, მაკაროვისა და თავადის გოლიცინისა. ცეცხლი ძლიერია და ჯერაც არ ჩამქრალა.

ლოძი. გუშინ ცეცხლი გაჩნდა გერტიგის აპრეტურაში. დაიწვა საწყობი დამზადებულ მასალისა. ზარალი 200 ათას მანეთამდე ადის. დაზღვეულია 450 ათას მანეთში «პეტერბურგ-ვარშავის» საზოგადოებაში.

კალუგა. პურის მკა გუბერნიაში დასრულდა; მოსავალი გვარიანია.

პეტერბურგი. 24 ივლისს ხელმწიფე დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული უავგუსტოესის ქალიშვილებით ალექსანდრიიდან გატჩინოში წაბრძანდა საცხოვრებლად.

კონსტანტინეპოლი. რუსეთის ელჩის უკანასკნელ აუდიენციაზე სულთანთან სჯა-ბაასი იყო ძველ სერბიის ეხლანდელ მდგომარეობის შესახებ. ელჩმა იმედი გამოაცხადა, რომ ოსმალეთის მთავრობა ყოველ ღონისძიებას იხმარს, რათა მშვიდობიანობა დაიცვას ხსენებულ ქვეყანაში. სულთანმა უპასუხა, რომ ყველა საჭირო ღონისძიება უკვე მიღებულიაო და დაიმედა ელჩი.

ბერლინი. იტყობინებიან, რომ ელზას-ლორენის სტატს-სეკრეტრის პუტკამერის თხოვნა სამსახურიდან გამოსვლის შესახებ უმაღლესმა მთავრობამ შეიწყნარაო; მის მაგიერ დაინიშნება ობერ-პრეზიდენტი კელლერი. კელლერის მოადგილედ საიმპერიო კანცელარიის უფროსის ადგილზე ასახელებენ ვილმოვსკის.

ბუხარესტი. როგორც-კი მოვიდა რუსეთის ესკადრა კიუსტენჯეში, ესკადრის უფროსმა გილდენბრანდტმა სურვილი გამოაცხადა, რომ ჰსურს მეფეს წარუდგეს. მაშინ, თავის შტაბის ოფიცრების თანხლებით, ის წავიდა საგანგებო მატარებლით სინაიაში, სადაც სადგურზე მას მიეგება მეფის სამხედრო კაბინეტის უფროსი. სასახლეში ადმირალი მივიდა სასახლის ეტლით და წარუდგა მეფესა და დედოფალს. ნაშუადღევის 1-ლ საათზე გაიმართა სადღესასწაულო ნადიმი, რომელსაც 40 კაცი დაესწრო; სხვათა შორის, იყვნენ: ტახტის მემკვიდრე და მისი მეუღლე, შინაგან საქმეთა და სამხედრო მინისტრები, რუსეთის საელჩოს წევრები და სამხედრო და სამოქალაქო კაბინეტების წევრები. მეფემ საუზმეზე შემდეგი სადღეგრძელო მიირთვა: „მით უფრო მეტის სიამოვნებით ვეგებები რუსეთის ესკადრის მოსვლას ჩვენში, რომ ამ მოსვლამ მომაგონა რუსეთისა და რუმინიის ჯარების ძმურად ერთად მოქმედება ოსმალეთის წინააღმდეგ. ვმადლობ მის უდიდებულესობას, თქვენს უავგუსტოეს ხელმწიფეს, რომ ნება მისცა თქვენს აღმატებულებას სინაიაში ჩემთან მოსულიყავით. მე ძლიერ მასიამოვნა თქვენმა მოსვლამ; ეს გარემოება მომასწავებელია იმისა, რომ მეგობრული განწყობილება რუსეთსა და რუმინიას შორის დაცული იქნება, რასაც, ჩემის აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს. მხურვალედ ვუსურვებთ ბედნიერებას თქვენს უავგუსტოეს ხელმწიფეს და დღეგრძელობას თქვენს მშვენიერს ფლოტს. ვსვამ სადღეგრძელოს მის უდიდებულესობის იმპერატორის ნიკოლოოზ მეორისას და მის უდიდებულესობის დედოფლის ალექსანდრა თეოდორეს ასულისას.“ ადმირალმა მადლობა მოახსენა და შემდეგ დალია სადღეგრძელო რუმინიის მეფისა, დედოფლისა და მთელის სამეფო გვარისა. ოთხ საათზე რუსის ოფიცრები წარუდგნენ ტახტის მემკვიდრეს და 6 საათზე სინაიიდან წავიდნენ საგანგებო მატარებლით; ისინი დაათვალიერებენ ჩერნოვოდის ხიდს და ხვალ კიუსტენჯეში დაბრუნდებიან.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

სამხრეთ-აფრიკა. გაზ. «როსსია»-ს სწერენ: «ქ. ჰობჰოუზს, რომელმაც გამოააშკარავა აუტანელი მდგომარეობა ბურების ოჯახებისა ეგრედ-წოდებულ «თავშესაფარ-ბანაკებში», სამხედრო მინისტრმა ნება არ მისცა დაბრუნებულიყო სამხრეთ-აფრიკაში, სადაც კეთილშობილს ქალს უნდოდა განეგრძო დახმარების აღმოჩენა დატუსაღებულ ქვრივ-ობლებისათვის. სამხედრო სამინისტრო იმით იმართლებს თავს, რომ შეუძლებელია ბურებ შორის თავისუფლად მოქმედების ნება მიეცეს ისეთ პირს, რომელიც ასე მტრულად უყურებს ხსენებულ ბანაკების მთელს სისტემასო.

✡ კაპის ახალშენიდან მოსულ უკანასკნელის ცნობების მიხედვით, ინგლისელების საქმე სამხრეთ-აფრიკაში ძალიან ცუდად უნდა იყოს. ბურებს შეუერთდა ახალშენის თითოეულ ოლქიდან ორას-ორასი კაცი მაინც და ყოველ დღე აჯანყებულთა რიცხვი იზრდება. აჯანყებულთა სიკვდილით დასჯამ, ახალშენის გავლენიან პირების დატუსაღებამ ინგლისელების მიერ მეტად გააბრაზა ხალხი და უკმაყოფილება დღითი დღე მატულობს.

✡ ბრიუსელიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ კრიუგერი უარზეა რაიმე შუამდგომლობა გაუწიოს ინგლისელებსა და ბურებს. სანამ, მოლაპარაკების დაწყებამდე, უზრუნველ-ყოფილი არ იქმნება ორივე რესპუბლიკების დამოუკიდებლობა.

✡ ამას წინად ინგლისის სამხედრო სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ინგლისელებმა მანდეგენთან ბრძოლის შემდეგ უკან დაიხიესო. ეხლა კერძო პირები ირწმუნებიან, რომ ბურებმა ამ ბრძოლაში დიდად გაიმარჯვეს, თავს ზარი დასცეს ინგლისელებს, გააქციეს და სულ კვალ-დაკვალ სდიესო.

✡ ბერლინიდან სწერენ «მორნინგ პასტ»-ს, რომ ბურებმა მისიის წევრის ვესელსის თავმჯდომარეობით თათბირი გამართეს და ერთხმად გადასწყვიტეს ინგლისელების წინააღმდეგ ბრძოლა განვაგრძოთო.

✡ «ტაიმსი» იუწყება: ქალაქ კაპშტადტის ქალაქის თავმა ლორდ კიტჩენერს სთხოვა—ადგილობრივ ვოლონტიერებს ნება მიეცი თავიანთ სახლებში დაბრუნდნენ, რადგანაც ოცი თვე ზედი-ზედ დაუსვენებლივ მსახურებენო. ლორდმა კიტჩენერმა უპასუხა: ეხლა კაპის ახალშენში ისეთი გაჭირვება გვადგია, რომ ჯარის შემცირება ყოვლად შეუძლებელიაო, მით უფრო შეუძლებელიაო, რომ თავად მთელი ახლანდელი ჯარიც ვერას ხდება ბურებთანაო. ბურების წვრილ-წვრილი რაზმები ახალშენის ჩრდილოეთ ოლქებში დიდ უწესოებას ახდენენო. მართლაც, ჩრდილოეთ ოლქებში ყველგან ბურების პატარ-პატარა რაზმები მოქმედებენ.

✡ «დეილი მაილ»-ის კორესპონდენტი იუწყება ამსტერდამიდან: დოქტორ ლეიდსს ბურების საქმეზე ველაპარაკე. დოქტორმა მითხრა: ბურებს ჯერ კიდევ იმედი აქვთ თავიანთ საკუთარის ღონით აჯობონ ინგლისელებს, მაგრამ ამასთანავე ერთად ელიან, რომ ევროპის სახელმწიფოებიც დახმარებას გაგვიწევენო. ევროპა,—სთქვა ლეიდსმა,—უსათუოდ გამოესარჩლება ბურებს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ევროპაში მეტად ბევრი ხალხი თანაუგრძნობს ბურებს, მეორე კიდევ იმიტომ, რომ ინგლისმა საერთა-შორისო უფლება ბევრნაირად დაარღვიაო.

ინგლისი. გაზ. «როსსია»-ს სწერენ ლონდონიდან: დღეს პარლამენტის სხდომის დროს მთავრობას შეეკითხნენ, მართლა ახლად მოკრებილი ჯარი უვარგისიაო? სამხედრო მინისტრის ამხანაგმა უპასუხა: სამხრეთ-აფრიკაში ახლად გაგზავნილი იომენის ჯარის მომეტებული ნაწილი მართლაც და სულ არ გამოდგა სამსახურისათვისაო და კაზარმის მაგივრად ბევრი პირდაპირ საავადმყოფოებში მიდისო. შემდეგ სამხედრო მინისტრის ამხანაგმა გამოაცხადა, რომ ამ უკანასკნელ 4 თვის განმავლობაში ინგლისს სამხედრო საქმეებზე 35,750 გ. სტ. ხარჯი მოუვიდაო. ეს ხარჯი ბევრად მეტია ბიუჯეტში აღნიშნულ ხარჯზეო.

✡ 16 ივლისს, დეპუტატთა პალატამ განიხილა კანონი «ლენდ-ლორდების (მებატონეების) დასაჩუქრების» შესახებ. ამ კანონის ძალით, მებატონეებს ნახევრად შესუმბუქებული აქვთ ადგილობრივ ხარჯების გადახდა. ჯერ კიდევ სხდომის წინ მთავრობა ოპოზიციის წინამძღოლს მოელაპარაკებოდა ამის თაობაზე და დათანხმებულიყო, რომ ამ ახირებულ კანონს მხოლოდ ოთხს წელიწადს-და ჰქონოდა ძალა, თორემ მთავრობას ეწადა, რომ ეს კანონი სამუდამოდ ყოფილიყო გამოცემული. ამიტომ კამათი ამ კანონის თაობაზე მეტად უფერული იყო. სხდომის დასასრულს კი ირლანდიელებმა დიდი შფოთი მოახდინეს. საქმე ასე იყო: ლიბერალი დეპუტატი ვალტონი ამტკიცებდა: დიდი უსამართლობა იქმნება, რომ მებატონეები ადგილობრივი ხარჯებისაგან განთავისუფლდნენ, რადგანაც ამ ხარჯებს ყველა მოქალაქეები იხდიანო. უნიონისტებმა (მთავრობის მომხრე დასმა) დაიწყეს ყვირილი: კმარა ლაპარაკი, დროა კენჭის ყრას შეუდგეთო. მაშინ ირლანდიელმა დეპუტატმა რედმონდმა პალატის თავმჯდომარეს უთხრა: ხომ ჰხედავთ, რომ უნიონისტები ყვირილით დეპუტატს ლაპარაკს უშლიანო, რატომ არ გააჩუმებთო. მაგრამ უნიონისტები ისევ წინანდებურად ყვიროდნენ: «კენჭის ყრა დავიწყოთო!» რედმონდმა თავის მხრივ დაუყვირათ: «ბარემ პოლიციასაც დაუძახეთო». რედმონდსა და პალატის თავმჯდომარეს ლაპარაკი მოუვიდათ და დასასრულ პალატამ 303 ხმის უმეტესობით 71 წინააღმდეგ,

---

წელს მოემატათ. ზოგიერთ სოფელში წელს ერთი ორად არის მომატებული და ისეთი სოფელი ხომ არ არის, რომ უწინდელ გადასახადზე წელს 2000 მან. მაინც არ იყოს წამატებული. წლევანდელს მოუსავლობას ზედ მოჰყვება მომავალ წლის მოუსავლობაც, რადგან წელს თესლის უქონლობით ცოტა დაითესება. ამის გარდა, მიწაც გაცვდა და რაც დრო გადის, მით თუნდა ამინდმაც ხელი შეუწყოს, მცირე მოსავალი მოდის ასე, რომ დღიური კარგ მოსავლობაში 10—12 კოდზე მეტს აღარ იძლევა, როდესაც 20—25 და მეტსაც იძლეოდა. დღიურზე რომ საშუალო მოსავალი 8 კოდი ვიანგარიშოთ კიდეც, მხვნელს მუდამ ზარალი ექნება. ეს გარემოება გლეხს შეუმჩნეველი არ დარჩა და ზოგმა კიდევაც გაანება ხვნა-თესვას თავი და თანდათან მხვნელ მთესველთა რიცხვი მცირდება, მაგრამ ზოგნი კი და უფრო მომეტებულნი თავს ვერ ანებებენ ჩვეულების მიხედვით. ამასთან ეძნელება გარეთ გასვლა, რადგან მიჩვეული არ არის სიარულს და მეორეც—რაღაც ეჭვის თვალით უყურებს გარეთ გასულებს, რომელნიც სოფლელ ზნე-ჩვეულებას და ადათს ივიწყებენ ძალა-უნებურად. გრძნობს კი, რომ გარეთ გასულები ან ვაჭრობაში ჩარეულნი, ცოტა შრომით მეტს იძენენ, მაგრამ მათი ქცევა და ზნეობა-შერყეული ქცევა-ცხოვრება არ მოსწონს და არ იზიდავს. ჩვენი გლეხისათვის საკმაოა მიწამ იმდენი მისცეს, რაც მის აუცილებელ საჭიროებას დააკმაყოფილებს, ის ამაზე მეტს არ მოითხოვდა, თავის მამა-პაპეულს ხელობას თავს არ დაანებებდა და თავის საყვარელს მიწას არ გაშორდებოდა, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, გაჭირვება მიჩვენე—მე გაქცევას გაჩვენებო. ძალა უნებურათ იძულებულია თავის საყვარელ მიწა-წყალს თავი დაანებოს და გარეთ გავიდეს ბედის საძებნელად. ვისაც ჰსურს ჩვენი გლეხი თავის ადგილზე გაჩერდეს, იმათ უნდა იზრუნონ გლეხს საკმარი მიწა მიეცეს და ისე მოეწყოს მისი გარემოება, რომ საჭირო სამეურნეო იარაღის შეძენა შეეძლოს ადვილად და ხელ-მისაწდომ ფასებში. უნდა შეაჩვიონ ჩვენი ხალხი სხვა და სხვა მცენარეულობის თესვას, რომელიც უფრო მეტს შემოსავალს მისცემს და მიწასაც გაანოყიერებს. თორემ დღეს ქიზიყში აუარებელ დამწვარ სასუქსაც კი გარეთ ხევებში ჰყრიან და თესლის შეცვლით მიწის განოყიერება ხომ არ იციან, თუმცა მიწა დიდი ხანია თხოულობს პატრონისაგან ყურის გდებას და გასუქებას.

თუ ეხლავე არ ეშველა საქმეს და ხალხს არ დაეხმარნენ, მერე გვიან-ღა იქნება და ძნელიც. ჩვენ ხალხს აქვს დიდძალი პურის ფული, რომელიც ამისთანა ბედშავი დღისთვის აქვს შენახული. ეს 20—30 წელიწადია სულზე რამდენიმე ლიტრა სულადს იხდის და ამათი გაყიდვით კარგა ფულები შეინახა ხაზინაში. ჩვენის აზრით, აი ეხლა დადგა ის დრო, როდესაც უნდა ისარგებლონ ამ ფულით. ჩვენ წინააღმდეგნი ვართ ჩუქებისა და მუქთად ვისიმე რამეს მიცემისა. ამას არც ჩვენი ხალხია შეჩვეული და არც ამითი დიდი რამე წამალი დაედება. მხოლოდ საუკეთესოდ მიგვაჩნია ამ შეგროვილი ფულებიდან რამდენიმე ასი თუმანი ისესხონ, ამ ფულებით ეხლავე ხორბალი იყიდონ იაფ-ფასებში, დააარსონ ქიზიყში რამდენიმე საწყობი, როგორიც საწყობებიც სამეურნეო საზოგადოებას ჰქონდა ვაზის წამლეულობის გასასყიდათ, და გაყიდონ ხორბალი იაფ ფასებში, იმ ფასში, რაც თითონ დაუჯდებათ ეხლა ზედ დამატებით იმ ხარჯისა, რაც გადატან-გადმოტანაზედ ხარჯი დასჭირდებათ. ამითი ხალხიც ისარგებლებს, რადგან ნაკლებ ფასებში იყიდის, სხვა მოვაჭრენიც ფასს ვეღარ ასწევენ და გაყიდვით დაბრუნებული ფულიც ისევ ხაზინას დაუბრუნდება. თუ ეს ასე მოხდება, საქმე უნდა დაჩქარდეს და ყიდვას ეხლავე შეუდგნენ, რომ ვიდრე ხორბლის ფასი აიწევდეს და ჩარჩ-მოვაჭრეებს ჩაუვარდებოდეთ ხელში, მოასწრონ ყიდვა და ხალხსაც მიჰყიდონ გიორგობისთვის გასვლამდე მაინც, რომ მოასწროს დათესვა. აი ეხლა საჭიროა ენერგია და გამჭრიახობა იმ პირთ, რომელნიც ხალხის კეთილდღეობისათვის არიან მოწვეულნი, ახლო დარაჯად უდგანან და გაიძახიან—ხალხისთვის გული შეგვტკივა და ჩვენ ხალხის მარილნი ვართო. თუ ეხლა დაეხმარებიან ხალხს და ხელს გაუმართავენ, ამითი ხალხს ჩააგონებენ, რომ ყოველი მათგან გალებული გარდასახადი საიმედო ალაგას არის მოთავსებული და მათივე კეთილ-დღეობისათვის და გაჭირვებაში დასახმარებლად. თვით მთავრობასაც დიდს სამსახურს გაუწევენ, რადგან ხალხი ხელს მოიმართავს, სულს მოითქვამს და შემდეგისათვის საქმეს გაიუმჯობესებს, თორემ თუ ეხლა დაეცა, მერე იმისი გამობრუნება ძნელი-ღა იქნება. ჯერ ეხლავე რამდენსამე ხალხს მოაკლდა სამუშაო: კვლავ კალოობაში—მაისიდან გიორგობისთვემდინ—80—1—20 კ. ყოფილა დღიური ფასი, წელს კი მკაშიაც 60 კაპ. მეტი არ აუღიათ და არც იყვნენ საჭირონი. თამბაქოებიც ხომ შარშანდელმა ფასების დაკლებამ დასცა. წელს ძალიან ცოტა ხნეს და ვინცა ხნა, იმასაც არ მოუვიდა უწვიმობით. ამიტომ ხელ-მოკლე ხალხი ხომ გარბის გარეთ სამუშაოთ და ბევრმა ოჯახიშვილმაც მიატოვა ოჯახი, სახლ-კარი და გავიდა გარეთ სამუშაოდ. ბევრი ეხლავე კრულვით იხსენიებს მიწის ჩაყურებას, რომ რამდენიმე წელიწადია სულ ზარალი ზარალზე მოსდის, და აპირებს სამუდამოდ ჩამოეთხოვოს მის ალერსს.

გულაძე.

დაადგინა: რადგანაც რედმონდი უკადრისად მოექცა პალატის თავმჯდომარეს, ამიტომ პალატის სხდომიდან უნდა გავიყვანოთო. ირლანდიელებმა გამოაცხადეს, რომ კენჭი სწორედ არაა დათვლილიო. აქაც საქმე იმით გათავდა, რომ მეორე გამოჩენილი ირლანდიელი დეპუტატი პატრიკ ო'ბრიენიც პალატიდან გაიყვანეს. ირლანდიელებმა დიდი პროტესტი გამოაცხადეს, მაგრამ რას იზამთ? ძალი მივიდაო, სამართალი ბანში ავიდაო,—ამბობს ქართული ანდაზა. ამის შემდეგ ბალფურის წინადადებით, დაპარაკის ნება აღარავის მისცეს და სახელოვანი კანონი მეორე წაკითხვის შემდეგ პალატამ 247 ხმის უმეტესობით 129 წინააღმდეგ დაამტკიცა.

იტალია. რომიდან იწერებიან: ჯერ ხომ იტალიელ რადიკალებს მოუვიდათ განხეთქილება, ეხლა მოსალოდნელია, რომ სოციალისტებიც ორ დასად გაიყვნენ. მილანის დეპუტატი-სოციალისტი ტურატი (ციხეში იჯდა 1898 წელს მომხდარი არეულობისათვის) ჰფიქრობს, რომ სოციალისტები უნდა მხარს აძლევდნენ ეხლანდელ სამინისტროსაო. ტურატის განზრახვა აქვს ცალკე ჯგუფი შეადგინოს. ამ ჯგუფს სახელად «კანონიერების მომხრე-სოციალისტების» ჯგუფი ერქმევა. ტურატი მხნედ ეწინააღმდეგება ანარქისტებსაცა და რესპუბლიკელებსაც. მოსალოდნელია, როცა პარლამენტი ხელახლად მოქმედებას დაიწყებს, უკიდურესი მემარცხენეთა დასი ორად გაიყოს: ერთი ჯგუფი მთავრობას მიემხრობა, მეორე კი, ტურატის სიტყვით, მთავრობის წინააღმდეგი იქმნება. ამ მეორე ჯგუფს ცოტა მომხრე ჰყავს იტალიაშიო.

ესპანია. ქალაქ ბარცელონის თეატრში ამ დღეებში ახალი დრამა წარმოუდგენიათ. დრამა მღვდელ ფეი-ორდეიხს დაუწერია და სახელად «პატერნიდად» ჰქვია. ეს პიესა იეზუიტების წინააღმდეგაა დაწერილი. წარმოდგენაზე დამსწრე საზოგადოებას მეტად მოეწონა და მადლობის ნიშნად ავტორს დაუძახეს სცენაზე. როცა სცენაზე ანაფორა ჩაცმული მღვდელი გამოვიდა და საზოგადოებას მადლობა გადაუხადა, ყველანი დიდ აღტაცებაში მოვიდნენ. მუსიკის ორკესტრი იძულებული იყო რამდენჯერმე «თავისუფლების ჰიმნი» შეესრულებინა. როცა მღვდელი-ავტორი თეატრიდან გამოვიდა, ხალხი დიდის აღტაცებითა და ოვაციით მიეგება.

✡ 28 ივლისს (ახ. სტ.) ესპანიაში ბევრს ადგილას ანტიკლერიკალური კრებები მოახდინეს. ეს კრებები იმ ბრძანების მოსაგონებლად გაიმართა, რომლის ძალითაც 1837 წელს მონასტრები იყო დახურული. კრებამ ყველაზე კარგად ბარცელონაში ჩაიარა.

გერმანია. გერმანიის მთავრობის შედგენილმა სადამოჟნო ტარიფის პროექტმა დიდი მღელვარება გამოიწვია როგორც თვითონ გერმანიაში, ისე ყველა განათლებულ ქვეყანაშიაც. ყველა ქვეყნის გაზეთები უკმაყოფილებას აცხადებენ და სადამოჟნო ომით ემუქრებიან გერმანიას. მოგვყავს ზოგიერთი გერმანული გაზეთის აზრი: «ვოსიშე ცაიტუნგ»-ი ამბობს: თუ გერმანიის სახელმწიფოთა კავშირის საბჭომ და პარლამენტმა ეს ტარიფი დაამტკიცეს, ცუდი დღე დაადგება გერმანიასაო. გაზეთი დასძენს, რომ ეს ტარიფი მებატონეებს დიდს დახმარებას გაუწევს, სამაგიეროდ გერმანიის მრეწველობას დიდს ზარალს მისცემსო. «ბორზენკურიერ»-ი იმ აზრისაა, რომ ახალი ტარიფი ყველა სახელმწიფოებს გადაჰკიდებს გერმანიას და სადამოჟნო ომს გამოიწვევსო. სოციალ-დემოკრატების გაზეთი «ფორვერტს»-ი მეტად მკაცრად ჰკიცხავს ახალ პროექტს და თავის წერილს შემდეგის სიტყვებით ასრულებს: «უნდა დავამხოთ ახალი პროექტიო!»

✡ როგორც ისმის, ბიულოვს გამოუცხადებია, ახალი სადამოჟნო ტარიფისაგან რაც მეტი შემოსავალი იქმნება, სულ საქველ-მოქმედო საქმეებს მოხმარდებაო. ჰფიქრობენ, რომ ახალი სადამოჟნო ტარიფი 150 მილიონ მარკას მეტ შემოსავალს მოიტანსო. ფრანკენშტეინის კანონის თანახმად, ეს შემოსავალი გერმანიის მოკავშირე სახელმწიფოებს შუა უნდა გაიყოსო. მცოდნე პირების გამოანგარიშებით, თუ ახალი ტარიფი დამტკიცდა, ყოველმა ოჯახმა (ხუთი სული), მარტო პურის საყიდლად წელიწადში 35 მარკა მეტი უნდა დახარჯოსო. მებატონეების უმთავრესი გაზეთი «დოიჩე ტაგე ცაიტუნგ»-ის აზრით, ეს ახალი ბაჟებიც არაა საკმაოო. გაზეთი ამბობს: თუ პარლამენტს სწადიან მიწად-მოქმედებას ნამდვილი დახმარება გაუწიოს, უსათუოდ ბაჟები კიდევ უნდა გაადიდოსო. ზოგნი ჰფიქრობენ, რომ გერმანიის სახელმწიფოთა კავშირის საბჭოში უმეტესობა მტრულად უყურებს ამ ახალ პროექტსაო, რადგანაც თუ ესეთი დიდი ბაჟები დავაწესეთ სავაჭრო ხელშეკრულობათა განახლება სხვა სახელმწიფოებთან შეუძლებელი გახდებაო. როგორც არწმუნებიან, თვით იმპერატორიც იმ აზრისაა, რომ სავაჭრო ხელშეკრულობანი უსათუოდ უნდა განახლდესო.

ბოლგარია. სარაფოვის და მაკედონიის კომიტეტის სხვა წევრების საქმის გარჩევა აგვისტოს გასულს დაიწყება. დამცველებად 15-ზე მეტი სულ გამოჩენილი სხვა და სხვა პოლიტიკური დასის ვექილი გამოვა. ბრალდებითი ოქმის შესწავლამ სრულიად დაარწმუნა დამცველები, რომ სარაფოვი და მისი თანამოაზრენი გამართლდებიანო, რადგანაც მათ გასამტყუნებლად მეტად ცოტა საბუთი აქვს სასამართლოსაო. მაგრამ მაინც ჰფიქრობენ, რომ მთავრობა გასვლის გადაიტანს და დიდხანს გააჭიანურებს საქმესაო. ვიდრე საქმე გათავდება, სარაფოვი და მისი ამხანაგები ციხეში ისხდებიანო.

ახალი ამბავი

✦ ჩვენ შევიტყვეთ, რომ მიწად-მოქმედების მინისტრი ჩრდილოეთ კავკასიის წყლებზე მოდის აგვისტოში. მინისტრს ტფილისშიაც მოელიან გამოფენის გახსნის შემდეგ.

✦ გუშინ, 25 ივლისს, კავკასიის სამეურნეო სამრეწველო **გამოფენის გამმართველ კომიტეტს** მიწად მოქმედების სამინისტროსაგან მოუვიდა დეპეშა, რომ სამინისტრომ იმ 7500 მან. გარდა, რომელიც უკვე მიილო კომიტეტმა, გამოფენის გასამართავად გადასდო კიდევ 5600 მანეთიო.

✦ ჩვენ გვატყობინებენ შემდეგ დაწვრილებით ცნობებს **ყაჩაღ ლორთქიფანიძის** დაჭერის შესახებ. ლორთქიფანიძეს დიდი ხანია დაეძებს ქუთაისის პოლიცია, როგორც ბევრ ავკაცობის ჩამდენს. სხვათა შორის, ერთი გაძარცვისათვის ოლქის სასამართლომ გარდაუწყვიტა მას 4 წლის კატორღა, მაგრამ, როცა სასამართლოდან საპატიმროში მიჰყავდათ, გაქცევა მოასწრო და აქამდე პოლიციამ ვერა გააწყო რა. ამ გაქცევის შემდეგ ლორთქიფანიძეს გაუძარცვავს როტშილდის მეარტელე (15.000 მ.) და მოუკლავს დარაჯი უსუფ ჯანგროლი, გაუძარცვავს თუამსაძის (?) სახლი ქუთაისში და ერთი დუქანი ს. სვირში. ქუთაისის პოლიციას შეეტყო, რომ ამ ბოლოს დროს ლორთქიფანიძე იმალება ტფილისში. ამიტომ ადმინისტრაციამ გამოგზავნა აქეთკენ ორი ბოქაული და ორი აგენტიც. ერთხანს ლორთქიფანიძე სცხოვრობდა თურმე ვილაც დავ. იაშვილთან (კოლიუჩი ბალკა, სადკოვის სახლი); 22 ივლისს კი ექირავებინა საკუთარი სადგომი არსენალის აღმართზე, თუმანოვის სახლი და დამდგარიყო ანნა არაბიძესთან, თავის საყვარელთან ერთად. პოლიციას ყველაფერი ეს შეუტყვია და 24 ივლისს, ღამით, ქუთაისელი ბოქაულები და რამდენიმე აქაური პოლიციელი ჩასაფრებოდნენ ლორთქიფანიძეს თუმანოვის სახლში. ლორთქიფანიძე და ანნა არაბიძე დაბრუნებულიყვნენ მხოლოდ შუაღამისას. ეზოს კარები გაეღო მათთვის ტანისამოს გამოცვლილ პოლიციელს, დანარჩენი ჩასაფრებულები უცდიდნენ მოხერხებულ შემთხვევას, რადგან გამოცდილ ავაზაკთან ჰქონდათ საქმე. ცოტა ხნის შემდეგ სადგომიდან გამოვიდა ნახევრად გახდილი ლორთქიფანიძე წყლის ვედრით ხელში. ჩამოვიდა თუ არა კიბეზე, მას დაეტაკა პოლიციელი ფილიაევი, მაგრამ ლორთქიფანიძემ ერთის მუშტის დაკვრით მოიშორა იგი თავიდან, შევარდა ოთახში და ეცა თავის პალტოს, რომლის ქვეშ მას იარაღი ჰქონოდა დამალული. სანამ რასმე მოასწრებდა, მას მოუსწრო უფროსმა პოლიციელმა გურგენიძემ და ხელები მაგრა მოხვია. შეექნათ გურგენიძესა და ლორთქიფანიძეს ჭიდაობა, რომლის დროს ორივენი წაიქცნენ. ამ დროს შემოვარდნენ ოთახში სხვა პოლიციელებიც და ავაზაკი შეჰკრეს. სადგომის გაჩხრეკის დროს ნახეს პალტოს ქვეშ დამოკლებული ბერდანკის თოფი, სამი რევოლვერი ტყვიებით, ხანჯალი, 42 ბერდანკის პატრონა და 3 სხვა და სხვა პასპორტი. ავაზაკის შეპყრობის შემდეგ პოლიციამ ეჭვი აიღო, რომ შეპყრობილი ცატუროვის მაღაზიის ქურდიც იქნებოდა და ამიტომ წარუდგინეს იგი სასტუმრო „ვიქტორიას“ მოსამსახურეებს, რომლებმაც მართლა შეამოწმეს, რომ ეს ლორთქიფანიძე იყო, ჰყონიას სახელით რომ „ვიქტორიის“ ნომრებში იდგაო. გარდა ლორთქიფანიძისა, პოლიციამ დაატუსაღა მისი საყვარელი ანნა არაბაძე, კ. იაშვილი, დარიკო ბატიაშვილი, ამის შვილი ფირუზა და მიხეილ გოგიტაშვილი, ყველა, როგორც ავაზაკის შემნახველები. ლორთქიფანიძე უარს ჰყოფს ყოველივე ბრალდებას.

✦ სამშაბათს, 24 ივლისს სხდომაზე **გამოფენის** გამგე კომიტეტმა, სხვათა შორის, განიხილა აგრონომის ჩერნოვის განცხადება, რომ მას ჰსურს მიიღოს თავისთავზე გამოფენის სამეურნეო ნაწილის ექსპონატების ჩვენება და დახასიათება. კომიტეტმა სასურველად სცნო ეყოლოს გამოფენის თითო განყოფილებას ასეთი პირები, მხოლოდ ეს საკითხი თვისის მოსაზრების წარმოსათქმელად გარდასცა განყოფილების გამგე-კომისიას.

✦ ნიკიტინის ბალის დირექტორმა **გამოფენის გამგე კომიტეტს** გამოუგზავნა მეორე ნაწილი თავისი ნაწერებისა აღნიშნულ ბალის შესახებს და სწერს კომიტეტს, ეს თხზულება შემდეგ გარდაეცეს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას წიგნთ-საცავისათვის.

✦ ყუბანის ქალთა სამხედრო თავ-შესაფარის მზრუნველმა **გამოფენის კომიტეტს** საექსპონატოდ გამოუგზავნა 5 ცალი თვისი გამოცემებისა.

✦ „კავკასიის სამეურნეო“ გაზეთის რედაქტორმა ბ. ნმა ქალანთარმა სთხოვა **გამოფენის კომიტეტს** ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებაში დაეთმოს მას ერთი ოთხ-კუთ. არშინი ადგილი ექსპონატებისათვის.

✦ ყირიმის საფილოქსერო კომიტეტმა **გამოფენის** გამგე-კომიტეს გამოუგზავნა სხვა-და-სხვა დროს თავის სხდომების ანგარიშები 1894 წლიდან.

✦ როგორც სატახტო გაზეთები იტყობინებიან; გიმნაზიებში შემდეგისათვის მიიღებენ **ებრაელ მოსწავლე** თახიდან 2%-ს სხვა მოსწავლე გიმნაზიელთა რიცხვისას. აქამდე იღებდნენ 5%-ს.

✦ საერო განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს ამ წლის ბოლოს დანიშნოს განსაკუთრებული კომისია იმის გამოსარკვევად, თუ როგორ მოხერხდეს **ქალთა პროფესიონალურ განათლების** უკეთ მოწყობა და გავრცელება.

✦ პიატიგორსკის ქალაქის თვით-მმართველობის საჩივრის გამო უმართებულესმა სენატმა ახსნა, რომ სადგომების დაქირავება იმ პოლიციისათვის, რომელიც ექვემდებარება სამაზრო სამმართველოებს, სავალდებულო არ არის ქალაქებისათვის.

✦ მიწად-მოქმედების სამინისტროს დეპარტამენტს შეუტყობინებია ხსენებულ სამინისტროს რწმუნებულის ბ. მედვედიევისათვის, რომ **ტფილისის ბოტანიკურ ბაღს** მიეცემა ყოველ წელს 500 მ. შემწეობა იმ პირობით, რომ ეს ბაღი შეღავათიანის ფასით (25%-ის დაკლებით) დაუთმობს ხეხილის ნერგებს სამრევლო, სამეურნეო და საერო განათლების სამინისტროს სკოლებს („კავკაზი“).

✦ როგორც ვიცით, **ტფილისის მეპურეებს** განზრახვად აქვთ ტფილისში საკუთარი ფქვილის მაღაზიის გახსნა. ამ სასარგებლო საქმეს მეტად ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ მეპურეებს უსტაბაშათ ამორჩეული გიორგი სხირტლაძე მთავრობისაგან დამტკიცებული არ ჰყავნდათ. ეხლა მეპურეებს შეერთებული თხოვნა მიურთმევიათ გუბერნატორისათვის და უთხოვნიათ ამ კაცის დამტკიცება; გუბერნატორსაც მიუღია თხოვნა და დამტკიცებაც აღუთქვამს.

✦ ამ მოკლე ხანში კავკასიის დასათვალიერებლად და გასაცნობად ჩამოვლენ **ამერიკელი ტურისტები**—8 კაცი და 15 ქალი. ორი ქალი მოგზაურობს ორის ჟურნალის მინდობილობით—უნდა აწერონ, რაც რამ საყურადღებო შეხვდებათ. ერთი ქალი მოგზაურობს ფოტოგრაფიულის აპარატით და ამზადებს მასალას ეგრედ წოდებულ ფოტოგრაფიისათვის.

✦ რუსეთის იმპერიიდან საზღვარ გარედ **კვერცხების გაზიდვას**, სხვათა შორის, ხელს უშლის ის გარემოება, რომ რუსეთის რკინის გზებზე არ არსებობს კვერცხების გადასაზიდი განსაკუთრებული ვაგონები. ამიტომ გზათა სამინისტროს საჭიროდ დაუნახავს ამგვარ ვაგონების შემოღება. გარდა იმისა, რომ ვაგონები გაკრული იქნება ნაბდით, იგი ისე იქნება მოწყობილი, რომ ტემპერატურაც შიგ შესაფერისი იქნება.

✦ გზათა სამინისტროში ეხლა ხან აღძრეს კითხვა ეგრედ წოდებულ **ჩქარის მატარებლების** სიჩქარის მომატების შესახებ. განზრახვა აქვთ ეს სიჩქარე აიყვანონ 80 ვერსტამდე საათში. თუ მართლა საჭიროდ დაინახეს ამგვარის სიჩქარის შემოღება, მას შემოიღებენა ამ წლის შემოდგომიდანვე.

✦ მიწად-მოქმედების მინისტრმა შეატყობინა თავის რწმუნებულს მედვედიევს, რომ იგი ჰგზავნის კავკასიაში სამინისტროს მოხელეს თავ. მასალსკის **სასოფლო სამეურნეო სადგურების** დასათვალიერებლად. მასალსკი უნდა ჩამოვიდეს აგვისტოს პირველ რიცხვების შემდეგ.

✦ სასულიერო უწყებამ მოსთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას პირველ აგვისტოსათვის მადათოვის კუნძულზე **იორდანის** გაკეთება, რადგანაც ამ დღეს საქართველოს ეგზარხოსი ფლაბიანე წყლის კურთხევას მოახდენს.

✦ **სასანიტარო საქმის ინსპექტორი** ბ. სტეფანოვი ატყობინებს ქალაქის გამგეობას, რომ, საბჭოს ექიმის ქ. ბ. ფომინაოსიპოვის მოხსენებით, ხრამი საეკლესიო ქუჩაზე (ვერა) მეტად ანტისანიტარულ მდგომარეობაშია და საჭიროა ზომების მიღება იმის გასაწმენდად.

✦ **ტფილისის გუბერნიის ექიმის თანაშემწე** ბ. მაჭავარიანი დაბრუნდა თიანეთიდან და თავის ოფიციალურ მოხსენებაში ამბობს, რომ ხევსურეთში მძვინვარებდა ქუნთრუშა, რომელიც ეხლა მოსპობილია.

✦ გუბერნიის მეხანიკმა სთხოვა ტფილისის პოლიცმეისტერს შეატყობინოს **ფაბრიკებისა და ქარხნების პატრონებს**, რომ იგი პირველ აგვისტოდან შეუდგება ხსენებულ დაწესებულებების ქვაბების გამოცდასა და შემოწმებას.

✦ სასოფლო-სამეურნეო ინსპექტორმა გეევსკიმ მიანდო ყარაიაზის სამეურნეო სადგურის გამგეს შეადგინოს მიწად-მოქმედების სამინისტროს მოქმედების ისტორია **კავკასიაში ბამბის მოყვანის საქმეში.**

✦ ამ დღეებში შესდგა სხდომა **ტფილისის მაზრის სასანიტარო კომისიისა** ხსენებულ მაზრისათვის ზოგიერთ სანიტარულ ზომების შესამუშავებლად.

✦ თავი იჩინა კიდევ ერთმა ახალმა „საქმემ“ ბ. ედიგაროვისამ, რომელიც ეს ერთი ხანია **ტფილისის მოქალაქეთა** თავად ითვლება. 1900 წლის 17-ს და 31 ოქტომბერს ხარჯთ ამკრეფ სევანოვს ჩაუბარებია ბ. ედიგაროვისათვის 122 მან. და 12 კ., რომელიც მას მოუკრეფია ჩითახოვის ფაბრიკის მუშებისაგან; თანაც წარუდგენია სია ხარჯის გადამხდელ მუშებისა. აქამდე ედიგაროვს მიღებულ ფულების კვიტანციები

ივერიელი

არ მიუცია მუშებისათვის. მუშებმა, რასაკვირველია, სევანოვს მიჰმართეს და სევანოვმაც ედიგაროვთან გაგზავნა ისინი. გუშინ-წინ, 24 ივლისს, მუშები იყვნენ ედიგაროვთან და პასუხად ის მიიღეს, რომ სევანოვს არ წარმოუდგენია სია იმ მუშებისა, რომელთაც გადახდათ 46 მ. და 30 კ., 1901 წლის 8 მაის შემოტანილი მასთან სევანოვისაგან, სად 1901 წლის რვა მაისს შემოტანილი ფული და სად 1900 წლის ოქტომბერში მიღებული მუშების სიასთან ერთად.

✦ დ. ხიდისთავიდან გვწერენ: „8 ამ თვეს, ბ. ვარდენ ქელბაქიანის თავმჯდომარეობით, აქ მოხდა მეეტლეთა ამხანაგობის საზოგადო კრება. როგორც ანგარიშიდან სჩანს, 28 ენკენისთვიდან (გასული წ.) ამ თვემდე ამხანაგობას მოუგია 552 მან. 47 კაპ. გამგეს წინადადების თანახმად, კრებამ დაადგინა: 1) ფოსტის იჯარით აღება ჩოხატაურიდან საჯავახომდი, 2) ხიდისთავის მეეტლეთა ამხანაგობის საზიაროდ ჩოხატაურ ხიდისთავს შუა ეტლებით მიმოსვლის გამართვა. ბოლოს ამოირჩიეს საბჭოს სამი ახალი წევრი“.

✦ ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი და გუბერნიის ექიმი ბ. ქიქოძე ქალაქის საყასბოების დათვალიერების შემდეგ იყვნენ ტფილისის თავ-შესაფარში. ამ თავ-შესაფარში ეხლა 22 კაცია და 44 ქალი.

✦ აგრონომი ტარატინოვი აგვისტოს პირველ რიცხვებში ამერიკაში მიდის.

✦ 24 ივლისს, საღამოს 8 საათზე, პოლიციის მე-4 ნაწილში სოლოლაკის ქუჩაზე უეცრად გარდაიცვალა ტფილისის მცხოვრები ვართან კარაპეტას ძე მურადოვი; გარდაცვალებულის გვამი ტფილისის საანატომიო თეატრში გაგზავნეს.

✦ გუშინ, დღით პირველის ნახევარზე ცეცხლი გაუჩნდა სილაზე სოტოვის ბაკს და, რომ მეზობლები მარჯვედ არ ყოფილიყვნენ, ცეცხლი დიდ ზარალს მოიტანდა, რადგან შენობაში ბევრი ხის მასალაა. ცეცხლის მქრობელი რაზმი რომ მოვიდა, ცეცხლი უკვე ჩამქრალი იყო.

პრესსა

არიან სახელმძღვანელოების ავტორები, რომელთაც რაღაც განსაკუთრებული, პირველის შეხედვით სრულიად გაუგებარი ბედი სწყალობთ. მათთვის ღმერთს პედაგოგიის ნიჭი არ მიუცია, მათი სახელმძღვანელოები ყოვლად უვარგისნი არიან, მაგრამ მაინც ამ სახელმძღვანელოების საშუალებით სწავლობს მოზარდი თაობა. ვის არ გაუგონია ილოვაისკის „ცნობილი“ სახელმძღვანელოები ისტორიისა, ვინ არ იცის, თუ როგორი ისტორია უწერია მას სახელმძღვანელოებში, მაგრამ აქამდე ისინი გაბატონებულია რუსეთის იმპერიის ყველა გიმნაზიებში. ეხლა-ხან, როგორც რუსული გაზეთები იტყობინებიან,

> „ილოვაისკის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოები განუხილავს საერო განათლების სამინისტროს სამ რეცენზენტს და კარგი აზრი არ წარუდგენიათ სამინისტროში ამ სახელმძღვანელოებზე. ამიტომ ილოვაისკის წინადადება მისცეს შესამჩნევად შეასწოროს ისინი“.

არ გვგონია, რომ ილოვაისკის შესწორებული სახელმძღვანელო გამოდგეს რაიმე —თუ მას შესწორება, უკეთესის დაწერა შესძლებოდა, ის ისე ახალგაზრდა არ არის რომ ეს ვერ მოესწრო. მისი წიგნები დიდი ხანია გონებას უწამლავს გიმნაზიაში მოსწავლეთ და ყველაზე უკეთესი იქნებოდა, რომ ისინი სრულიად განეძევათ სასწავლებლებიდან.

არის კიდევ ერთი ბედნიერი სახელმძღვანელო, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, რადგან იგი ჩვენის სკოლებისათვის არის შედგენილი. ეს არის ბ. ლევიცკის სახელმძღვანელო, ყველასაგან ნაძაგები და დაწუნებული. მიუხედავათ ამისა, იმერეთის სკოლებში ამ ყოვლად უვარგის წიგნით ასწავლიან რუსულ ენას. პედაგოგები, სამინისტრო, ყოველი გონიერი კაცი ხედავს ამ წიგნის უვარგისობას კი არა, მავნებლობას და მაინც ეს წიგნი უკავიათ ხელში იმერეთის მოსწავლეთ და მასწავლებლებს. ადამიანის არ იყოს, არიან ისეთი სახელმძღვანელოები, რომელნიც ბედნიერ ვარსკვლავზე ჩნდებიან.

⁂

გაზეთი „ბირჟ. ვედომოსტ“-ი სწერს სასულიერო სემინარიების კურსდამთავრებულთა უნივერსიტეტში მიღების საჭიროების შესახებ.

> „უნივერსიტეტში შესვლისათვისთ, ამბობს გაზეთი, სემინარიელმა უნდა მიიღოს ეგრედ წოდებული „სიმწიფის ატტესტატი“ ან მიჰმართოს იმ უნივესიტეტებს, სადაც სემინარიელების მიღება ნება დართულია (იურიევის, ვარშავის და ტომსკის უნივესიტეტებს). სემინარიელები სამი წლის უფრო გვიან ათავებენ კურსს, ვიდრე გიმნაზიელები, ხოლო ატტესტატის მიღებისათვის მათ კიდევ ერთი წელიწადი უნდა დაჰკარგონ. ნამეტურ დიდი მომზადება სჭირიათ მათ მათემატიკის ეგზამენისათვის. ნახსენებ სამ უნივერსიტეტში წასვლა ადვილი საქმე არ არის: ამისთვის დიდი ხარჯია საჭირო. ღარიბ სტუდენტს გაკვეთილების იმედი აქვთ, მაგრამ ვარშავში და იურიევში რუს სტუდენტს ძალიან უძნელდება გაკვეთილების შოვნა. რჩება ამრიგად ტომსკი, საითკენაც მართლა ბევრი ახალ-გაზდა სემინარიელი მიდის ყოველ წლივ მაგრამ, სამწუხაროდ, ტომსკში არ არის ფილოლოგიური ფაკულტეტი,, რომელიც უფრო შეეფერება სემინარიელების მომზადებას. ჩვენის ფიქრით, სემინარიელების უნივერსიტეტში მიღება —სრულიად უბრალო საკითხია და შიში იმის გამო, ვითომც სემინარიელებისთვის ამ ნების მიცემა ვნებას მოუტანს სასულიერო წოდებას და ამისთანავე შეამცირებს სასულიერო სამსახურის მსურველთა რიცხვს, სრულიად უადგილოა, პირიქით, სემინარიელების უნივერსიტეტში სწავლა მოსპობს სასულიერო წოდებაში ბევრს სამწუხარო ნაკლულევანებას, ხოლო იმ პირთა რიცხვი, რომელნიც თავის რწმენის მიხედვით იცმენ ანაფორას, ყოველთვის საკმაო იქნება“.

პროვინცია

ს. ვაქირი. აქ ჩამოვიდა მოსკოვის ეთნოგრაფიულ-ანტროპოლოგიური და სხ. საზოგადოების წევრი—მოსკოვის კონსერვატორიაში კურს დამთავრებული ბ. დიმიტრი არაყიშვილი და უნდა ძველი სიმღერები შეჰკრიბოს ფონოგრაფის საშუალებით და მერე ნოტებზე გადაიღოს. კვირას, 15 მკათათვეს ბ. არაყიშვილმა ვაქირში ამღერა აქაური მომღერლები. სულ ექვსი სიმღერის გადაღება მოასწრო და მერე ფონოგრაფი მოუშალა. რაკი ფონოგრაფს გამართავს, აპირებს შეაგროვოს სიმღერები მაჩხაანში, კარდანახში და სხვა ახლო მახლო სოფლებში და მერე თელავში წავიდეს ამავე მიზნით. ჩვენი ხალხი სულ ეჭვით უყურებს ყველა უცნობ მგზავრს და მკვლევარს. ჰგონია რაიმე დაფარული მიზნით უნდათ იმისი საიდუმლოების გაგება და მერე ხარჯის შეწერა. მიტომ ერიდება ნამდვილის თქმას და სცდილობს, რაც შეიძლება, დაფაროს და ნამდვილი ნაკლებათ აჩვენოს. როდესაც არაყიშვილი მოვიდა და გაიგეს იმისი მიზანი, ხალხმა ეჭვით შეხედა და ყველამ უარი განუცხადა—სიმღერა არ ვიცითო. მხოლოდ როცა არაყიშვილთან მოსულმა გოტაძემ ჩააგონა ხალხს არაყიშვილის კეთილი მიზანი, ამღერა სიმღერა და მერე ისევე სიმღერა უნაკლულოდ ფონოგრაფმა გაიმეორა, ხალხი აღტაცებაში მოვიდა, იმის განცვიფრებას და განკვირვებას საზღვარი აღარა ჰქონდა და ეხვეწებოდნენ, ოღონდ გაგვაგონე კიდევ და რაც სიმღერები ვიცით, ყველას გიმღერებთ და თუ გნებავთ, ყველანი ვიმღერებთო. ძალიან სამწუხაროთ დარჩათ, რომ ფონოგრაფი მალე მოუშალა და ყველა სიმღერა ვერ მოასწრეს გაეგონათ. მეტათ მშვენივრათ გამოვიდა სათამაშო თავის ტაშით და ატაცებული გუგუნის კილოთი სიმღერა.

ამავე დღეს ერთი ახალზრდა ალექსი სიუმაშვილი დაასაფლავეს. ეს უმაწვილი ბიჭი, სულ 16—17 წლის, წყალში თურმე დაიღრჩო შემთხვევით. კამეჩების გამოსაყვანად შესულიყო კამეჩის კუდზე ხელ მოკიდებული—მორევში თურმე ხელი გაუშვა, ჩავარდა მორევში და შეუბრალებელმა წყალმა ჩაძირა და დაახრჩო. უსულო გვამი სადამოთი გამოუგდო ნაპირზე.

გულაძე.

სასამართლო

25 ივლისს, ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ტფილისის მაზრის სოფ. პატარძეულის მცხოვრების ალექსი გიორგის ძის უსუპაშვილის, რომელსაც რაჭის მაზრის სოფ. ჭონის მცხოვრების 14 წლის ვასილ კერვალიშვილის მოკვლა ედებოდა ბრალად; ამა 1901 წლის 5 აპრილს დილის 10 საათზე ნავთლუღში მანუჩაროვის დუქანში მიუტანია პური ვასილ კერვალიშვილს; დუქანში ყოფილა მხოლოდ მანუჩაროვის დახლიდარი ანტონ იმედაშვილი, რომელსაც კერვალიშვილისაგან უყიდნია პური; ამავე დროს დუქანში შესულა დიმიტრი ჩიჯავაძის ყარაული ალექსი უსუპაშვილი, რომელსაც გინება დაუწყია კერვალიშვილისათვის იმის გამო, რომ კერვალიშვილს გადაუვლია საძოვარ ადგილზე და ვითომ წაუთელავს ფეხით ბალახი; ყმაწვილს უპასუხნია, რომ მას არავითარი ზარალი საძოვარ ადგილისათვის არ მიუყენებია; ამ სიტყვებზე უსუპაშვილს ჩამოუღია თოფი, უსროლია ბავშვისათვის და იქვე მოუკლავს, რის შემდეგაც იგი გაქცეულა. გამოძიების დროს საქმის ასეთი გარემოება შეუმოწმებია იქვე დამსწრე ანტონ იმედაშვილს; ხოლო ბრალდებულს გამომძიებელთან ის განუცხადებია, რომ მას კერვალიშვილი სრულიად შემთხვევით შემოაკვდა ხელში, რადგანაც თოფი, რომლითაც იგი ბავშვს დაემუქრა, სრულებით გატენილი არ ეგონა. სასამართლოში საქმის გამოძიების დროს როგორც მოწმემ, აგრეთვე ბრალდებულმა კერვალიშვილმა იგივე გაიმეორეს, რაც გამომძიებელთან ეჩვენებინათ. ბრალდებულმა განაცხადა, რომ ეს საქმე თუმცა გულ-მოსულობის დროს მოხდა, მაგრამ წინასწარ განზრახვით და ამიტომ უნდა თანახმად სასჯელთა დებულების მე-1455 მუხლისა დაისაჯოს უსუპაშვილიო. ბრალდებულის ვექილმა თავ. ბეგთაბეგოვმა ითხოვა მცირე სასჯელი გარდაეწყვიტათ უსუპაშვილისათვის, რადგანაც, მისის აზრით, მას ეს შემთხვევით მოუხდა და სრულებით არავითარი განზრახვა არა ჰქონდა კერვალიშვილის მოკვლისათ.

ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო უსუპაშვილი და გარდაუწყვიტა ზოგიერთ განსაკუთრებულ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და სამი წლის ვადით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა.

საღამოს დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

25 ივლისს.

პეტერბურგი. ზაბაიკალის ოლქის ჯარის შტაბის უფროსი გენერალ-მაიორი ფონ-რენენკამფი ინიშნება პირველ კერძო ცხენოსან ბრიგადის უფროსად.

ბრძანება სამხედრო უწყებას: 1) 1 იანვრამდე 1904 წ., დროებით უნდა დაწესდეს მეოთხე განყოფილება უმთავრესს საინჟინერო მმართველობისა, რომელიც უნდა თვალ-ყურს ადევნებდეს რკინის გზების ვითარებას და 2) შეჩერდეს სამხედრო რკინის გზების გაყვანა.

ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ბრძანა სასახლეში ოთხი კვირის მგლოვიარობა გერმანიის ქვრივ დედოფლის ვიქტორიის გარდაცვალების გამო.

ასახსნელად იმ კითხვებისა, რომელნიც აღძრა გიმნაზიების და რეალურ სასწავლებლების სამოსწავლო გეგმების გამოცვლის პროექტმა, საერო განათლების სამინისტროს მმართველმა მიმართა სამოსწავლო ოლქების მზრუნველებს წინადადებით, რომელშიაც იგი თხოულობს —იქონიონ სახეში, რომ კომისიის მიერ შემუშავებული კონსპექტი ახალ საშუალო სკოლისა წარმოადგენს მხოლოდ პროექტს, რომელსაც განიხილავს ზამთარში ახალი კომისია. ამიტომ 1901—1902 სამოსწავლო წელს ამ ახალის პროექტით ხელმ-ღვანელობა შეიძლება მხოლოდ გიმნაზიების და რეალურ სასწავლებლების 1-ლ და მე-2 კლასებში, როგორც ეს დამტკიცებულია 11-ისა და 18-ის ივნისის უმაღლესის ბრძანებით. ამიტომ, რადგანაც ლათინური ენა აღარ იქმნება არც პირველში და არც მეორე კლასში და ბერძნულიც მოსპობილია მესამე და მეოთხეში, ხელ-ახლა გამოცდას, რომელიც დანიშნული აქვთ ლათინურში პირველ კლასელებს და მესამე კლასელებს ბერძნულში, წელს ადგილი აღარ ექმნებათ. რაც შეეხება იმ მოსწავლეთ, რომელნიც გადადიან მეორე კლასიდან მესამეში და მეოთხიდან მეხუთეში, ისევე უნდა მოეთხოვოს ლათინურისა და ბერძნულის ცოდნა, როგორც აქამდე იყო. ერთ-ერთ ახალ ენის არჩევანი მოსწავლის მშობლების საქმეა.

ბარისოგლებსკი. ერთ თვეზე მეტია, რაც ამ მხარეში წვიმა არ მოსულა; ნამეტნავად ცხელა: 40 გრადუსამდის ადის სიცხე; თუმცა საღამოობით გრილა, მაგრამ ყანებს მაინც ვერაფერი შველის.

ვიტებსკი. 24 ივლისს, 1 საათზე გაჩნდა ცეცხლი. ქარიანი ამინდი ძლიერ უწყობს ხელს ცეცხლის გავრცელებას. ცეცხლი მოედო სამ ნაწილს ქალაქისას, სადაც დასახლებული არიან უფრო ღარიბ-ღატაკი ხალხი; ზარალი დიდია: სრულიად გადაიწვა ორი ნაწილი ქალაქის; ცეცხლი ჯერაც არ გამქრალა; ცეცხლის მქრობელი რაზმი გამოიწერეს სმოლენსკიდან. გუბერნიის მართველის თავჯდომარეობით სდგება დაზარალებულთა დამხმარებელი კომიტეტი.

ჰომბურგი. ყველა გერმანიის და უცხოეთის მთავრობისაგან და სახელმწიფოს წარმომადგენლებიდან მიღებულია დეპეშები, რომლებშიაც თანაგრძნობა-სამძიმარია გამოცხადებული დედოფლის გადაცვალების გამო. სხვათა შორის, მოვიდა დეპეშა რუსეთის იმპერატორისაგან, ინგლისის მეფისაგან, ავსტრიის იმპერატორისაგან, იტალიის მეფისაგან და საფრანგეთის პრეზიდენტი-ლუბესაგან. როგორც ამბობენ, კვირა დილას გადახდილ იქმნება პანაშვიდი მიცვალებულის სულის მოსახსენებლად და სამშაბათს მოხდება დაკრძალვა გვამისა პოტსდამში.

სოფია. რუსეთის სამხედრო ზღვის ჯარი მოვა ხვალ ვარნაში, სადაც დაჰყოფს სამ დღეს.

ბელგრადი. სერბიელები უარს ამბობენ იმის გამო, რომ ვითომ სერბიის კონსული გამოიწვია მთავრობამ პრიშტინში.

პეტერბურგის ბირჟა 24 ივლისს.

გექსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,95	
ბერლინზე 100 მარკაში	46,02½	
პარიზზე 100 ფრანკში	—	
ლონდონზე ჩეკები	94,70	
ბერლინზე „	46,30	
პარიზზე „	37,37½	
ბირჟის დისკონტი	5½—7%	
4% სახელმწიფო რენტა	96⅛	გაყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	100	მყიდვ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ, მამ. ბანკისა	96	გამყიდ.
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	428	მყიდვ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	332	„
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	231	„
3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	—	
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	92	გაყიდ.
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	92½	„
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—	
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	

რედაქტორი ალ. ჭყონია. გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 25 Іюля 1901 г.
ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობის.